



Message for World Theatre Day 2025 – 27 March

Author of the Message: Theodoros TERZOPOULOS, Greece

Theatre Director, Educator, Author, Founder and Artistic Director of the Attis Theatre Company, Inspirator of Theatre Olympics and Chairman of the International Committee of Theatre Olympics

Georgian (Translation)

World Theatre Day Message 2025 by Theodoros TERZOPOULOS

ესმის თეატრს განგაშის სიგნალი, რომელსაც ჩვენი დროება აგზავნის? გალატაკებული მოქალაქეების სამყაროში, სადაც ადამიანები ვირტუალური რეალობის საკნებში ჩაკეტილნი, სრულიად არიან ჩაფლულნი პირად სივრცეში. სამყაროში, სადაც ცხოვრების ყველა ასპექტზე კონტროლისა და ჩაგვრის ტოტალიტარული სისტემა რობოტიზებულად აქცევს ჩვენს არსებობას.

აწუხებს თეატრს ეკოლოგიური პრობლემები? გლობალური დათბობა, ბიომრავალფეროვნების მასშტაბური განადგურება, ოკეანეების დაბინძურება, მყინვარების დნობა, ტყის ხანძრების ზრდა და ექსტრემალური კლიმატური მოვლენები? შეუძლია თეატრს ეკოსისტემის აქტიური ნაწილი გახდეს? თეატრი მრავალი წლის განმავლობაში აკვირდებოდა ადამიანის გავლენას პლანეტაზე, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა რთულია

აწუხებს თეატრს ადამიანის მდგომარეობა XXI საუკუნეში, სადაც მოქალაქის მანიპულირებას ახდენენ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით, მედიით?

სოციალური ქსელები კი გვეხმარება კომუნიკაციაში, მაგრამ ქმნიან კი ისინი უსაფრთხო დისტანციას სხვა ადამიანებთან? უცხო, განსხვავებულის შიში, ჩვენს ცნობიერებასა და ქმედებებში ყოველთვის ჩანს

შეუძლია თეატრს იმუშაოს, როგორც მასტერკლასი, სადაც განსხვავებულების თანაარსებობას ვისწავლით?

სისხლიანი ტრავმა გვიწვევს, შევქმნათ მითი ხელახლა. ჰაინერ მიულერის სიტყვებით, „მითი არის აგრეგატი, მანქანა, რომელზეც ყოველთვის შეიძლება ახალი და განსხვავებული მანქანების შეერთება. ის გადასცემს ენერჯიას მანამ, სანამ მზარდი სიჩქარე არ ააფეთქებს კულტურულ ველს“—და მე დავამატებდი: ბარბაროსობის ველსაც.

შეუძლია თეატრის პროექტორებს სინათლე მოჰფინონ სოციალურ ტრავმას?

ეს არის კითხვები, რომლებიც საბოლოო პასუხს არ ითხოვენ, თეატრი არსებობს და დღემდე ძლებს უპასუხო კითხვების წყალობით.

კითხვები, რომლებიც დიონისემ იკითხა, გაცდა მის სამშობლოს, ანტიკურ თეატრს და განაგრძობს მოგზაურობას ომის ველებზე - დღეს, მსოფლიო თეატრის დღეს.

შევხედოთ დიონისეს თვალეში, თეატრისა და მითოსის ღმერთს, რომელიც აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, ორ შვილს—ზევსსა და სემელეს, განსხვავებული იდენტობების გამომხატველს, მდედრობითსა და მამრობითს, მრისხანესა და მზრუნველს, ღვთაებრივსა და ცხოველურს, გონებასა და გრძნობას, წესრიგსა და ქაოსს.

დიონისე სვამს უმნიშვნელოვანეს კითხვას: „რას ნიშნავს ეს ყოველივე?“—კითხვას, რომელიც შემოქმედს უბიძგებს მითოსის ფესვებისა და ადამიანთა გუნების უფრო ღრმა კვლევისკენ.

ჩვენ გვჭირდება ახალი გადმოცემის გზები, რომლებიც მეხსიერების გაღვიძლებას და ახალი მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას ემსახურება, რათა გამოვიდეთ შუა საუკუნეების მრავალსახოვანი დიქტატურიდან

თეოდოროს ტერზოპულუსი

ქართული თარგმანი მოამზადა ოლიკო ბარბაქაძემ